თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. თელავი

2020 წლის 18 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ლელა მენთეშაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს 1. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ მოცემული პროექტი ეხება ე.წ. „გურგუჩიანის " მიერ ერთ-ერთ გასხვისებულ მიწას. ქონების მესაკუთრე მარგალიტაშვილი პირობის დასრულების ეტაპზეა და მიზანშეწონილი იქნება ვადის გაგრძელება, ვინაიდან მარგალიტაშვილი წლის ბოლომდე შესძლებს პირობის შესრულებას.

ალექსი ძულიაშვილმა აღნიშნა, რომ მარგალიტაშვილი უკვე მეოთხედ ითხოვს ვადის გაგრძელებას და დააყენა წინადადება ხელშეკრულების მოშლისა და ქონების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოში განსახილველად საკითხის წარდგენაზე.

ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა, რომ დღემდე ვადა გაუგრძელდათ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ მესაკუთრეებს, ამდენად ხელშეკრულების მოშლით დაირღვევა მარგალიტაშვილის მიმართ სამართლიანობის პრინციპი, ამასთან ერთად მას უკვე აქვს განხორციელებული პირობის შესასრულებლად სამუშოების უდიდესი ნაწილი.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მარგალიტაშვილს პირობის ვადა გაუგრძელდეს მიმინარე წლის ბოლომდე და დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ალექსანდრე შათირიშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი